ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
შპს "ზახარ"

პერიოდი: 2023 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე

AG International Consulting
Member of Prime Global
Audit & Business Advisory Services

AGIC

certified member

PrimeGlobal

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 8
სრული შემოსავლის ანგარიშგება 9
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 12

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს "ზახარ"-ის ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის "-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("მსს ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის"-ს თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია "ფასს" მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 24 იანვარი.

მენეჯმენტის სახელით:

_____	_____
დირექტორი	ფინანსური მენეჯერი
ზაქარია მამულაშვილი	ლევან აბუსერიძე
24 იანვარი, 2025	*24 იანვარი, 2025*
თბილისი, საქართველო	*თბილისი, საქართველო*

ZAKHAR L.L.C

შპს "ზახარ"

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს "ზახარ"-ის ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის "-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("მსს ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის"-ს თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია "ფასს" მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 24 იანვარი.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი	ფინანსური მენეჯერი
ზაქარია მამულაშვილი	ლევან აბუსერიძე
24 იანვარი, 2025	*24 იანვარი, 2025*
თბილისი, საქართველო	*თბილისი, საქართველო*

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "ზახარ"-ის მეწილეებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს "ზახარ"-ის ("კომპანია") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის "პირობითი მოსაზრების საფუძველი"-ს ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს "ზახარ"-ის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ დაგვნიშნეს 2023 წლის 31 დეკემბრამდე და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 6,737,335 ლარის ღირებულებებით (2022 წლის 31 დეკემბერი: 4,316,015 ლარი). შესაბამისად, ვერ შევძელით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მტკიცებულებების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 3,972,730 ლარის ოდენობით (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3,183,761 ლარი). 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში, ჩვენ ვერ შევძელით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მტკიცებულებების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებასა და ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლს შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

ჩვენ ჩავატარეთ შპს "ზახარ"-ის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. აღნიშნული აუდიტი არის პირველი კომპანიისათვის და შესაბამისად, ჩვენ აუდიტის პროცესში დავადასტურეთ ანგარიშგების იმ მუხლების საწყისი ნაშთები, რომლებიც გავლენას ახდენს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება კომპანია. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის ძირითადი საკითხები

ჩვენ დავადგინეთ, რომ - „პირობითი მოსაზრების საფუძველი"- ნაწილში აღწერილი საკითხის გარდა, არ არსებობს სხვა აუდიტის ძირითადი საკითხები, რომელთა შესახებაც აუცილებელი იყო ინფორმირება ჩვენს დასკვნაში.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის"-ს შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს "ზახარ"-ის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს

კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს "ზახარ"-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ

მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშის წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირვება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - „კანონი“). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობითი ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

გიორგი მიქაბაძე დირექტორი შპს ეიჯი ინთერნეიშენალ კონსალთინგი SARAS-F-344253 PrimeGlobal -ის წევრი 2025 წლის 24 იანვარი	თამილა ჩაგელიშვილი რეგისტრირებული აუდიტორი SARAS-A-913906 2025 წლის 24 იანვარი

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

გიორგი მიქაბაძე
დირექტორი
შპს ეიჯი ინთერნეიშენალ კონსალთინგი
SARAS-F-344253
PrimeGlobal -ის წევრი
2025 წლის 24 იანვარი

თამილა ჩაგელიშვილი
რეგისტრირებული აუდიტორი
SARAS-A-913906
2025 წლის 24 იანვარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023 წელის 31 დეკემბერი	2022 წელის 31 დეკემბერი **	2021 წელის 31 დეკემბერი **
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	**4**	750,154	194,535	222,828
არამატერიალური აქტივები	**5**	11,223	11,404	11,466
სულ გრძელვადიანი აქტივები		**761,377**	**205,939**	**234,294**
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**6**	6,737,335	4,316,015	3,619,839
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	**7**	5,779,455	5,279,907	4,210,145
გაცემული ავანსები		81,313	142,659	129,181
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**8**	353,606	195,595	262,097
სულ მოკლევადიანი აქტივები		**12,951,709**	**9,934,176**	**8,221,262**
სულ აქტივები		**13,713,086**	**10,140,115**	**8,455,556**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		5,881,007	3,946,226	1,221,883
სულ კაპიტალი		**5,883,007**	**3,948,226**	**1,223,883**
ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	**9**	898,249	663,858	924,370
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**898,249**	**663,858**	**924,370**
გადასახდელი გადასახადები		231,152	234,043	397,926
ნასესხები სახსრები	**9**	2,713,021	2,063,779	1,513,109
მიღებული ავანსები		14,927	46,448	17,476
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**10**	3,972,730	3,183,761	4,378,792
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**6,931,830**	**5,528,031**	**6,307,303**
სულ ვალდებულებები		**7,830,079**	**6,191,889**	**7,231,673**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**13,713,086**	**10,140,115**	**8,455,556**

_____ _____

დირექტორი
ზაქარია მამულაშვილი
24 იანვარი, 2025
თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი
ლევან აბუსერიძე
24 იანვარი, 2025
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023 წელის 31 დეკემბერი	2022 წელის 31 დეკემბერი **	2021 წელის 31 დეკემბერი **
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	750,154	194,535	222,828
არამატერიალური აქტივები	5	11,223	11,404	11,466
სულ გრძელვადიანი აქტივები		**761,377**	**205,939**	**234,294**
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	6,737,335	4,316,015	3,619,839
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	5,779,455	5,279,907	4,210,145
გაცემული ავანსები		81,313	142,659	129,181
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	353,606	195,595	262,097
სულ მოკლევადიანი აქტივები		**12,951,709**	**9,934,176**	**8,221,262**
სულ აქტივები		**13,713,086**	**10,140,115**	**8,455,556**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		5,881,007	3,946,226	1,221,883
სულ კაპიტალი		**5,883,007**	**3,948,226**	**1,223,883**
ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	9	898,249	663,858	924,370
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**898,249**	**663,858**	**924,370**
გადასახდელი გადასახადები		231,152	234,043	397,926
ნასესხები სახსრები	9	2,713,021	2,063,779	1,513,109
მიღებული ავანსები		14,927	46,448	17,476
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	3,972,730	3,183,761	4,378,792
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**6,931,830**	**5,528,031**	**6,307,303**
სულ ვალდებულებები		**7,830,079**	**6,191,889**	**7,231,673**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**13,713,086**	**10,140,115**	**8,455,556**

დირექტორი
ზაქარია მამულაშვილი
24 იანვარი, 2025
თბილისი, საქართველო

ZAKHAR LLC "ზახარ შპს" 202061053

ფინანსური მენეჯერი
ლევან ბეჭსერიძე
24 იანვარი, 2025
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
შემოსავალი	**11**	23,175,818	20,399,419
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**12**	(12,912,511)	(11,836,129)
საერთო მოგება		**10,263,307**	**8,563,290**
სხვა ხარჯები	**13**	(81,572)	(24,175)
მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	**14**	(2,177,535)	(1,804,273)
ადმინისტრაციული ხარჯები	**15**	(4,225,785)	(3,131,674)
ცვეთა და ამორტიზაცია		(57,120)	(48,342)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		**3,721,295**	**3,554,826**
ფინანსური ხარჯები	**16**	(232,329)	(195,650)
წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	**17**	(5,290)	557,249
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	**18**	550,620	511,875
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	**19**	(404,374)	(314,976)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		**3,629,922**	**4,113,324**
მოგების გადასახადის ხარჯი		(248,315)	(211,297)
წმინდა მოგება (ზარალი)		**3,381,607**	**3,902,027**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		**3,381,607**	**3,902,027**

დირექტორი	ფინანსური მენეჯერი
ზაქარია მამულაშვილი	ლევან აბუსერიძე
24 იანვარი, 2025	*24 იანვარი, 2025*
თბილისი, საქართველო	*თბილისი, საქართველო*

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
შემოსავალი	11	23,175,818	20,399,419
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(12,912,511)	(11,836,129)
საერთო მოგება		**10,263,307**	**8,563,290**
სხვა ხარჯები	13	(81,572)	(24,175)
მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	14	(2,177,535)	(1,804,273)
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(4,225,785)	(3,131,674)
ცვეთა და ამორტიზაცია		(57,120)	(48,342)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		**3,721,295**	**3,554,826**
ფინანსური ხარჯები	16	(232,329)	(195,650)
წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	17	(5,290)	557,249
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	18	550,620	511,875
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	19	(404,374)	(314,976)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		**3,629,922**	**4,113,324**
მოგების გადასახადის ხარჯი		(248,315)	(211,297)
წმინდა მოგება (ზარალი)		**3,381,607**	**3,902,027**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		**3,381,607**	**3,902,027**

დირექტორი

ზაქარია მამულაშვილი
24 იანვარი, 2025
თბილისი, საქართველო

ZAKHAR LLC "ზახარ" 202061053

ფინანსური მენეჯერი

ლევან აბუსერიძე
24 იანვარი, 2025
თბილისი, საქართველო

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (აკუმულირებული ზარალი)	ჯამი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,000**	**1,221,883**	**1,223,883**
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	3,902,027	**3,902,027**
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,177,684)	**(1,177,684)**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,000**	**3,946,226**	**3,948,226**
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	3,381,607	**3,381,607**
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,446,826)	**(1,446,826)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,000**	**5,881,007**	**5,883,007**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2023 წელის 31 დეკემბერი	2022 წელის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	3,381,607	3,902,027
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა	55,139	46,330
ამორტიზაცია	1,981	2,012
მოგების გადასახადი	(248,315)	211,297
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	62,702	414
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობებიდან	5,290	(557,249)
საპროცენტო ხარჯი	232,329	195,650
საპროცენტო ხარჯის კორექტირება	-	7,830
საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	3,490,733	3,808,311
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	(499,952)	(1,079,473)
ცვლილებები მარაგებში	(2,421,320)	(696,176)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	245,424	(375,180)
ცვლილებები გაცემული ავანსები	61,346	(13,478)
ცვლილებები მიღებული ავანსებში	(31,521)	28,972
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	775,543	(830,714)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,620,253	842,262
გადახდილი პროცენტი	(233,468)	(195,650)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,386,785	646,612
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(678,290)	(18,452)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(1,800)	(1,950)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	4,831	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(675,259)	(20,402)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოდინება მიღებული სესხებიდან	4,889,004	2,128,470
მიღებული სესხების დაფარვა	(3,998,581)	(1,645,528)
დივიდენდების გადახდა	(1,446,826)	(1,177,684)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	(556,403)	(694,742)
ფულისა და ეკვივალენტების ნეტო ცვლილება	155,123	(68,532)
უცხოური ვალუტის ეფექტიფულზე	2,888	2,030
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	195,595	262,097
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**353,606**	**195,595**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს “ზახარ” (ს/ნ: 202061053) დაარსდა 1998 წლის 22 სექტემბერს. შპს "ზახარ" მიეკუთვნება სადისტრიბუციო კომპანიების კატეგორიას. მისი ძირითადი საქმიანოობაა: ელექტრო საქონლის, საყოფაცხოვრებო ქიმიის და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პროდუქციის იმპორტი და დისტრიბუცია ადგილობრივ სავაჭრო ობიექტებში. მთელი საქართველოს მასშტაბით კომპანია ოპერირებს ყველა მსხვილ სამშენებლო, ქსელური, საცალო გაყიდვების კომპანიებთან. საწყობები განთავსებულია თბილისში, კახეთსა და ქუთაისში. კომპანიამ წლების მანძილზე მოიპოვა გამოცდილება, რომელიც უზრუნველყობს მიწოდების ჯაჭვის მართვის სიმარტივესა და მის ოპტიმიზაციას.
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მეწილეები არიან: ზაქარია მამულაშვილი (პ/ნ 01001000802. წილი: 70 %, რომელიც ასევე, დირექტორია კომპანიის დაარსებიდან) და ჯეიმს მეთთიუ სალვატორე (პ/ნ 01491005090, 561500827 (ორმაგი მოქალაქე საქართველო, აშშ). წილი: 30%). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, თევდორე მღვდლის ქ., N7.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

შესაბამისობის განცხადება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის

თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2023	**31 დეკემბერი 2022**
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844
1 რუსული რუბლი/ლარი	0.0299	0.0368
1 ჩინური იუანი	0,3782	0,3906

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ::

- მანქანა - დანადგარები და აღჭურვილობა: 20%;
- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი: 20%;
- სატრანსპორტო საშუალებები: 20%;
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა: 15%.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, ცვეთის ნორმები და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფებს, ლიცენზიებს და სხვა არამატერიალურ აქტივებს. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაცია ერიცხებათ მათი სასიცოცლო პერიოდის გათვალისწინებით.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და, ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება

ნეტო ღირებულებით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი სარეალიზაციო ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ფულადი სახსრები
- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც

პირდაპირ არის დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთ ხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშზე.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისგან.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავიდან აღირიცხება სამართლიან ღირებულებას მინუს ტრანზაქციის ხარჯები. სამართლიანი ღირებულება დგინდება საბაზრო განაკვეთით მსგავს ინსტრუმენტზე. პირველადი აღიარების შემდეგ, ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სადაც ყველა სხვაობა თავდაპირველსა და ახლანდელ ღირებულებას შორის აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის უწყისში საპროცენტო ხარჯად.

ისეთი აქტივების შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებული სესხის აღების ხარჯები, რომელთა გამოყენებისათვის ან გასაყიდად გამზადებას (კვალიფიცირებული აქტივები) დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

კაპიტალიზაციის დაწყების დღედ ითვლება დღე, როცა (ა) კომპანია გაიღებს ხარჯებს კვალიფიციურ აქტივზე; (ბ) კომპანია მიიღებს ნასესხები სახსრების ხარჯებს; და (გ) კომპანია განახორციელებს იმ საქმიანობას, რომელიც აუცილებელია აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ მომზადებისთვის.

ნასესხები სახსრების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ დღემდე, როდესაც აქტივები არსებითად მზადაა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

კომპანია ახორციელებს იმ ნასესხები სახსრების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანია კვალიფიციურ აქტივებზე კაპიტალურ დანახარჯებს არ გასწევდა. კაპიტალური ნასესხები სახსრების გაანგარიშება ხორციელდება კომპანიის საშუალო დაფინანსების ხარჯით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი გამოიყენება სათანადო აქტივებზე დანახარჯების მიმართ) გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური სახსრების სესხად აღება ხდება კვალიფიციური აქტივის მიღების მიზნით. როდესაც ეს მოხდება, კაპიტალიზირდება ნასესხები სახსრების ფაქტობრივად გაღებული ხარჯები, რომლებიდანაც გამოქვითულია ამ ნასესხები სახსრების დროებითი ინვესტიციიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავალი.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონტროლი მოიპოვა აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. კომპანიის საწესდებო კაპიტალი არის 2,000 ლარი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთრდოულად განხორციელების განზრახვა.

ცვლილებები წარდგენაში

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის"-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს ჩვენ აღმოვაჩინეთ გარკვეული უზუსტობები წინა საანგარიშგებო წლებში. აღნიშნული უზუსტობების კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილებში:

31.12.2022:

	2022 წელის 31 დეკემბერი-აუდირებული	ცვლილება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	194,535	(28,482)	223,017
არამატერიალური აქტივები	11,404	11,404	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	**205,939**	**(17,078)**	**223,017**
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4,316,015	(243,940)	4,559,955
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	(1)	1
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	5,279,907	(1,036,522)	6,316,429
გაცემული ავანსები	142,659	142,659	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	195,595	383	195,212
სულ მოკლევადიანი აქტივები	**9,934,176**	**(1,137,421)**	**11,071,597**
სულ აქტივები	**10,140,115**	**(1,154,499)**	**11,294,614**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2,000	-	2,000
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	3,946,226	(1,291,316)	5,237,542
სულ კაპიტალი	**3,948,226**	**(1,291,316)**	**5,239,542**
ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	663,858	663,858	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**663,858**	**663,858**	**-**
გადასახდელი გადასახადები	234,043	(84,430)	318,473
ნასესხები სახსრები	2,063,779	(656,027)	2,719,806
მიღებული ავანსები	46,448	46,448	-
ანარიცხები	-	(9,192)	9,192
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	(158,356)	158,356
სხვა ვალდებულებები	-	(281,612)	281,612
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,183,761	616,128	2,567,633
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**5,528,031**	**(527,041)**	**6,055,072**
სულ ვალდებულებები	**6,191,889**	**136,817**	**6,055,072**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**10,140,115**	**(1,154,499)**	**11,294,614**

31.12.2021:

	2021 წელის 31 დეკემბერი-აუდირებული	ცვლილება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	222,828	(4,982)	227,810
არამატერიალური აქტივები	11,466	11,466	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	**234,294**	**6,484**	**227,810**
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3,619,839	(189,025)	3,808,864
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	4,210,145	(776,183)	4,986,328
გაცემული ავანსები	129,181	129,181	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	262,097	85	262,012
სულ მოკლევადიანი აქტივები	**8,221,262**	**(835,942)**	**9,057,204**
სულ აქტივები	**8,455,556**	**(829,458)**	**9,285,014**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2,000	-	2,000
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	(53,299)	53,299
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	1,221,883	(964,384)	2,186,267
სულ კაპიტალი	**1,223,883**	**(1,017,683)**	**2,241,566**
ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	924,370	924,370	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**924,370**	**924,370**	
გადასახდელი გადასახადები	397,926	(58)	397,984
ნასესხები სახსრები	1,513,109	(938,715)	2,451,824
მიღებული ავანსები	17,476	17,476	-
ანარიცხები	-	(53,105)	53,105
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	(118,396)	118,396
სხვა ვალდებულებები	-	(301,593)	301,593
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	4,378,792	658,246	3,720,546
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**6,307,303**	**(736,145)**	**7,043,448**
სულ ვალდებულებები	**7,231,673**	**188,225**	**7,043,448**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**8,455,556**	**(829,458)**	**9,285,014**

12 თვე, 2022:

	12 თვე, 2022წ. - აუდირებული	ცვლილება 2022 წლის 12 თვეზე	თავდაპირველი წარდგენა
შემოსავალი	20,399,419	(235)	20,399,654
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(11,836,129)	(44,928)	(11,791,201)
საერთო მოგება	**8,563,290**	**(45,163)**	**8,608,453**
სხვა ხარჯები	(24,175)	(24,175)	-
მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	(1,804,273)	(1,804,273)	-
ადმინისტრაციული ხარჯები	(3,131,674)	1,731,813	(4,863,487)
ცვეთა და ამორტიზაცია	(48,342)	6,543	(54,885)
საოპერაციო მოგება (ზარალი)	**3,554,826**	**(135,255)**	**3,690,081**
ფინანსური ხარჯები	(195,650)	(195,650)	-
წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	557,249	-	557,249
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	511,875	300,379	211,496
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(314,976)	(314,976)	-
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	**4,113,324**	**(345,502)**	**4,458,826**
მოგების გადასახადის ხარჯი	(211,297)	(211,297)	-
წმინდა მოგება (ზარალი)	**3,902,027**	**(556,799)**	**4,458,826**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	
სრული შემოსავალი	**3,902,027**	**(556,799)**	**4,458,826**

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა, ასევე, იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

კომპანია იყენებს გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

ვადაგადაცილებული დღეები	0-30 დღე	31-90 დღე	91-180 დღე	180-365 დღე	365 დღეზე მეტი
ანარიცხის პროცენტი	1%	5%	25%	50%	100%

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	მანქანა - დანადგარები და აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
საწყისი ღირებულება						
ბალანსი 31.12.2021	**-**	**15,426**	**115,057**	**337,041**	**1,183**	**468,707**
შემოსვლა	-	-	17,621	831	-	**18,452**
გასვლა	-	-	(415)	-	-	**(415)**
ბალანსი 31.12.2022	**-**	**15,426**	**132,263**	**337,872**	**1,183**	**486,744**
შემოსვლა	297,946	-	44,924	278,912	1,369	**623,151**
გასვლა	-	-	(440)	(20,050)	-	**(20,490)**
ბალანსი 31.12.2023	**297,946**	**15,426**	**176,747**	**596,734**	**2,552**	**1,089,405**
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება						
ბალანსი 31.12.2021	**-**	**(13,337)**	**(86,213)**	**(145,734)**	**(596)**	**(245,880)**
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-	-	-	**-**
ცვეთა პერიოდისათვის	-	(418)	(7,518)	(38,305)	(88)	**(46,330)**
ბალანსი 31.12.2022	**-**	**(13,755)**	**(93,731)**	**(184,039)**	**(684)**	**(292,209)**
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-	8,096	-	**8,096**
ცვეთა პერიოდისათვის	-	(334)	(9,839)	(44,874)	(92)	**(55,139)**
ბალანსი 31.12.2023	**-**	**(14,089)**	**(103,570)**	**(220,816)**	**(776)**	**(339,251)**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
ბალანსი 31.12.2021	**-**	**2,089**	**28,844**	**191,308**	**587**	**222,828**
ბალანსი 31.12.2022	**-**	**1,671**	**38,532**	**153,833**	**499**	**194,535**
ბალანსი 31.12.2023	**297,946**	**1,337**	**73,177**	**375,918**	**1,776**	**750,154**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ზახარს პროკრედიტ ბანკის სესხის უზრუნველსაყოფად მიწა იპოთეკით დატვირთული აქვს.

5. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
საწყისი ღირებულება				
ბალანსი 31.12.2021	**235**	**21,447**	**9,030**	**30,712**
შემოსვლა	-	-	1,950	**1,950**
გასვლა	-	-	-	**-**
ბალანსი 31.12.2022	**235**	**21,447**	**10,980**	**32,662**
შემოსვლა	-	-	1,800	**1,800**
გასვლა	-	-	-	**-**
ბალანსი 31.12.2023	**235**	**21,447**	**12,780**	**34,462**
აკუმულირებული ამორტიზაცია				
ბალანსი 31.12.2021	**(235)**	**(15,870)**	**(3,141)**	**(19,246)**
ჩამოწერილი აქტივების ამორტიზაცია	-	-	-	**-**
ამორტიზაცია პერიოდისათვის	-	(837)	(1,175)	**(2,012)**
ბალანსი 31.12.2022	**(235)**	**(16,707)**	**(4,316)**	**(21,258)**
ჩამოწერილი აქტივების ამორტიზაცია	-	-	-	**-**
ამორტიზაცია პერიოდისათვის	-	(711)	(1,270)	**(1,981)**
ბალანსი 31.12.2023	**(235)**	**(17,418)**	**(5,586)**	**(23,239)**
წმინდა ღირებულება				
ბალანსი 31.12.2021	**-**	**5,577**	**5,889**	**11,466**
ბალანსი 31.12.2022	**-**	**4,740**	**6,664**	**11,404**
ბალანსი 31.12.2023	**-**	**4,029**	**7,194**	**11,223**

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2023 წლის 31 დეკემბერი	**2022 წლის 31 დეკემბერი**	**2021 წლის 31 დეკემბერი**
საქონელი	6,725,890	4,304,571	3,614,622
მცირეფასიანი მარაგი	11,445	11,444	5,217
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**6,737,335**	**4,316,015**	**3,619,839**

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2023 წლის 31 დეკემბერი	**2022 წლის 31 დეკემბერი**	**2021 წლის 31 დეკემბერი**
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7,125,907	6,362,776	5,003,981
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(1,347,382)	(1,092,334)	(794,784)
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	930	9,394	948
წინასწარ გადახდილი ხარჯები (სსიპ საპენსიო სააგენტო წინაშე)	-	71	-
სულ	**5,779,455**	**5,279,907**	**4,210,145**

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ლარი საბანკო ანგარიშებზე	348,097	191,515	141,399
ევრო საბანკო ანგარიშებზე	45	12	-
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	4	34	91,713
ჩინური იუანი საბანკო ანგარიშებზე	4	-	-
სულ ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	**348,150**	**191,561**	**233,112**
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	5,456	4,034	24,679
ნაღდი ფული სალაროში აშშ დოლარში	-	-	4,306
სულ ნაღდი ფული სალაროში	**5,456**	**4,034**	**28,985**
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**353,606**	**195,595**	**262,097**

2023 წლის 31 დეკემბერს ლარის საბანკო ანგარიშზე იყო 1,000 ლარი, რომელიც იყო ფული გზაში. აღნიშნული თანხა გადაირიცხა 2023 წლის 30 დეკემბერს კომპანიის ერთერთი ანგარიშიდან მეორე ლარის ანგარიშზე, დასვენების დღეების გამო აღნიშნული თანხა მეორე საბანკო ანგარიშზე აისახა 2024 წლის 3 იანვარს.

9. ნასესხები სახსრები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მიღებული სესხები - გრძელვადიანი წილი	898,249	663,858	924,370
გრძელვადიანი ვალდებულებები	**898,249**	**663,858**	**924,370**
მიღებული სესხები - მიმდინარე წილი	2,706,328	2,055,947	1,513,109
გადასახდელი პროცენტი	6,693	7,832	-
მიმდინარე ვალდებულებები	**2,713,021**	**2,063,779**	**1,513,109**
სულ	**3,611,270**	**2,727,637**	**2,437,479**

საბანკო სესხები აღებულია სს „პროკრედიტ"-ში, რომელიც გამიზნულია საბრუნავი საშუალებებისთვის და ძირითადი საშუალებების შეძენისთვის.
ბანკისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია თავდებობით: ზაქარია მამულაშვილის და ჯეიმს მეთთიუ სალვატორეს მიერ. იპოთეკით დატვირთულია ორგანიზაციის მიწა. ასევე, სხვადასხვა სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებებით, რომელსაც ფლობენ სხვადასხვა ფიზიკური პირები.

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე	3,620,973	2,915,073	4,177,041
გადასახდელი ხელფასები	337,714	214,790	118,396
ვალდებულება სსიპ საპენსიო სააგენტო წინაშე	10,995	-	53,105
ვალდებულება პერსონალის მიმართ	3,048	53,898	30,250
სულ	**3,972,730**	**3,183,761**	**4,378,792**

11. შემოსავალი

	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
შემოსავალი საქონლის ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციიდან	23,533,915	20,725,810
შემოსავალი საქონლის საერთაშორისო ბაზარზე რეალიზაციიდან	76,277	20,133
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	(434,374)	(346,524)
სულ	**23,175,818**	**20,399,419**

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12,912,511	11,836,129
სულ	**12,912,511**	**11,836,129**

13. სხვა ხარჯები

	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
მარაგების ჩამოწერის ხარჯები	81,572	24,175
სულ	**81,572**	**24,175**

14. მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები

	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
მარკეტინგული და რეკლამის ხარჯები	1,880,993	1,459,802
საწვავის დანახარჯები	296,542	344,471
სულ	**2,177,535**	**1,804,273**

15. ადმინისტრაციული ხარჯები

	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
თანამშრომელთა ხელფასი	3,279,573	2,490,404
იჯარის ხარჯები	424,299	242,342
მივლინების ხარჯები	108,001	48,151
საპენსიო ფონდის ხარჯები	56,812	38,786
წარმომადგენლობითი ხარჯები	55,350	31,086
რემონტის ხარჯები	46,233	39,376
დაზღვევის ხარჯები	45,184	38,067
ბანკის მომსახურების საკომისიო	42,641	58,852
კომუნიკაციის ხარჯები	35,469	27,193
ოფისის ხარჯები	16,708	16,382
საქველმოქმედო ხარჯები	6,770	990
საგადასახადო ხარჯები	3,276	2,140
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	105,469	97,905
სულ	**4,225,785**	**3,131,674**

16. ფინანსური ხარჯები

	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
საპროცენტო ხარჯები	232,329	195,650
სულ	**232,329**	**195,650**

17. წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)

	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	41,924	578,860
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(47,214)	(21,611)
სულ წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	**(5,290)**	**557,249**

18. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
კრედიტ ნოტა	516,583	471,290
საგადასახადო ბარათთან შედარებით გამოწვეული სხვაობიდან მიღებული შემოსავალები	-	32,528
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	34,037	8,056
სულ	**550,620**	**511,875**

19. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	255,048	297,551
შედარების აქტით გამოწვეული სხვაობის ჩამოწერა	98,572	-
საგადასახადო ბარათთან შედარებით გამოწვეული სხვაობიდან მიღებული ხარჯები	25,038	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული წმინდა ზარალი	15,219	-
ჯარიმის ხარჯები	10,497	9,230
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	8,195
სულ	**404,374**	**314,976**

20. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია „მსს ფასს"-ში „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები", წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშნველოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიისა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა/მეწილეები	59,213	16,120
სხვა დაკავშირებული მხარეები	1,933	5,700
დაკავშირებული ორგანიზაცია	3,831	-
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან:	**64,978**	**21,820**

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2022	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა/მეწილეები	50,936	16,120
სხვა დაკავშირებული მხარეები	1,933	5,459
დაკავშირებული ორგანიზაცია	1,629	-
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან:	**54,498**	**21,579**

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023	რეალიზაცია	გაცემული დივიდენდი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა/მეწილეები	18,677	1,446,826
სხვა დაკავშირებული მხარეები	3,390	-
დაკავშირებული ორგანიზაცია	1,866	-
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:	**23,933**	**1,446,826**

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2022	რეალიზაცია	გაცემული დივიდენდი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა/მეწილეები	9,031	1,177,684
სხვა დაკავშირებული მხარეები	87	-
დაკავშირებული ორგანიზაცია	794	-
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:	**9,912**	**1,177,684**

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2023 წელი	2022 წელი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა/მეწილეები	194,205	193,440
სხვა დაკავშირებული მხარეები	58,226	40,659
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:	**252,431**	**234,099**

22. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები" მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.
საანგარიშო პერიოდის შემდეგ:

- გამოცხადდა 523,224 ლარის დივიდენდი;
- ორგანიზაციამ შეისყიდა 475,952 ლარის მიწა.

24. ფუნქციონირებადი საწარმო

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

კომპანიის მიმდინარე ოპერაციების გარდაუვალი საფრთხე არ არსებობს. გარდა ამისა, არ არსებობს სალიკვიდაციო პროცედურების დაწყების ან კომპანიის საქმიანობის არსებითად შეზღუდვის განზრახვა.

25. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 24 იანვარს.

შპს ზახარ

(ს.ნ 202061053)

მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

მმართველობითი ანგარიშგება

შპს ზახარ

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი და საორიენტაციო ღირებულებები. ანგარიშგება ასევე მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და კომპანიის განვითარების პოტენციალს.
აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავალო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

2. წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს ზახარ-ის მმართველობის ანგარიშგება.
ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად. ჩვენი რესურსი ორიენტირებულია ხარისხიანი პროდუქციის მიწოდებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხო შრომის გარემოზე. ვამაყობ, რომ კომპანიაში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მიზანი, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

3. კომპანიის შესახებ

შპს ზახარ დაარსდა 1998 წელს და უკვე 27 წელია რაც მოღვაწეობს ქართულ სადისტრიბუციო ბაზარზე.

4. კომპანიის საქმიანობა

საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ელექტრო საქონლის, საყოფაცხოვრებო ქიმიის და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი და რეალიზაცია (დისტრიბუცია) მთელი საქართველოს მასშტაბით, როგორც დიდ, ასევე საშუალო და მცირე ზომის სავაჭრო იბიექტებში.

5. შიდა სტრუქტურა

კომპანიაში განსაზღვრული თანამდებობრივი იერარქია და უფლება მოვალეობები.
კომპანიის დამფუძნებლები: ზაქარია მამულაშვილი, პ.ნ.:01001000802; ჯეიმს მეთთიუ სალვატორე, პ.ნ.:01491005090, 561500827.

კომპანიას უშუალოდ მართავს დირექტორი- ზაქარია მამულაშვილი, 01001000802.

აღნიშნული გუნდი იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და ახორციელებს მას

კომპანიის საქმიანობის წარმართვის პროცესში, თავის დაქვემდებარებაში მყოფი

თანამშრომლების ჩართულობით, საკუთარი კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობების

ფარგლებში.

დასაქმება

კომპანიაში 2023 წელს დასაქმებული იყო 176 ადამიანი.

დასაქმებულთა 45% ქალია, ხოლო 55% - მამაკაცი.
წლიური სახელფასო ხარჯი 2023 წლის საანგარიშო პერიოდისთვის 3,279,573 ლარი (2022წ- 2,490,404ლ).

6. სამომავლო გეგმები

კომპანია გეგმავს სადისტრიბუციო ბაზრის წილის ზრდას ხარისხიანი პროდუქციის მიწოდებით, მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინებით.

7. რისკ-ფაქტორები

არსებული რისკ ფაქტორები, ეფექტური მენეჯმენტის მეშვეობით, მინიმუმამდეა დაყვანილი.

8. **უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა**

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას და აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში.

9. **კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები**

საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური მაჩვენებლები (ლარი):

ინფორმაციის ტიპი	2023 წელი
შემოსავლები (საოპერაციო+არასაოპერაციო)	23,726,438
ხარჯები (საოპერაციო+არასაოპერაციო)	(20,344,831)
მოგება-ზარალი	3,381,607
მთლიანი აქტივები	13,713,086

მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხიმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი

შპს ზახარ

დირექტორი-ზაქარია მამულაშვილი

---------- **თარიღი: 24 იანვარი 2025 წელი**

8. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას და აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში.

9. კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები

საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური მაჩვენებლები (ლარი):

ინფორმაციის ტიპი	2023 წელი
შემოსავლები (საოპერაციო+არასაოპერაციო)	23,726,438
ხარჯები (საოპერაციო+არასაოპერაციო)	(20,344,831)
მოგება-ზარალი	3,381,607
მთლიანი აქტივები	13,713,086

მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხიმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი

შპს ზახარ

დირექტორი-ზაქარია მამულაშვილი

თარიღი: 24 იანვარი 2025 წელი